მე-15 მოდული საგამოცდო ტესტები
(ნიმუნში)

1. 42 წლის მამკაცს აღენიშნება დაღლილობა და თავის ტკივილი. მომდევნო დღეს გაეღვიძა მაღალი სიცხით და მტკივნეული შეტევებით გულმკერდის მიდამოში. დაისვა ბრონჰოლმის დაავადების (პლევროდინი) დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან რომელი ვირუსია ამ დაავადების გამომწვევი?

1. პოლიოვირუსი
2. A კოკსაკის ვირუსი
3. B კოკსაკის ვირუსი
4. ECHO

2. 5 თვის გოგონა იანვრის თვეში მიიყვანეს გადაუდებელი დახმარების ცენტრში წყლიანი დიარეით და ღებინებით. ქონდა დაბალი სიცხე და აღენიშნებოდა დეჰიდრატაციის ნიშნები. საეჭვო აგენტი, რომელიც არის ამ კლინიკის გამომწვევი,არის იკოსაედრული კაფსიდის მქონე ვირუსი ორმაგი კაფსიდით და ორძაფიანი რნმ-ით. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ ინფექციის გადაცემიოს მექანიზმი?

1. ტრანსმისიული
2. აეროგენული
3. ფეკალურ-ორალური
4. ვერტიკალური

3. 6 თვის ბავშვს 2 დღეა აქვს ტკივილები მუცლის არეში, დიარეა სისხლის გარეშე და ღებინება. განავლის ბაქტერიოლოგიურმა გამოკლევისას გამოიყო მხოლოდ ნაწლავების ნორმოფლორის ბაქტერიები. ჩამოთვლილთაგან რომელი ვირუსია ამ ასაკის ბავშვებში ზემოაღნიშნული კლინიკის ყველაზე ხშირი გამომწვევი?

1. A კოკსაკის ვირუსი
2. ორბივირუსი
3. როტავირუსი
4. B კოკსაკის ვირუს

4. 74 წლის მამაკაცმა მიმართა კლინიკას სისუსტით, ცხელებით და ყელის ტკივილით. ცოტა ხანში დაეწყო ღებინება და ამის შემდეგ გონების დაბინდვა. სავარაუდოდ დაისვა ცხენების დასავლეთის ენცეფალიტის დიაგნოზი. ქვემოთ ჩამომთვლილთაგან რომლის ლიკვიდაციითაა შესაძლებელი ზემოთ აღნიშნული დავადების კონტროლი?

1. ცხენების
2. ტკიების
3. კოღოების
4. ფრინველების

5. 5 წლის ბიჭს, რომელიც დაბრუნდა ტროპიკებიდან აღენიშნება გრიპისმაგვარი სიმპტომები. დაახლეობით 4 დღის შემდეგ განუვითარდა სიყვითლე და ღებინება. ეჭვი იქნა მიტანილი ყვითელი ყვითელი ცხელების ვირუსზე. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი შეესაბამება ამ ვირუსს?

1. გარსიანი, ერთძაფიანი -რნმ-ის შემცველი ვირუსია
2. გარსიანი, ერთძაფიანი, სეგმენტირებული -რნმ-ის შემცველი ვირუსია
3. გარსიანი, ერთძაფიანი +რნმ-ის შემცველი ვირუსია
4. უაგრსო, ორძაფიანი, სეგმენტირებული რნმ ვირუსია ორმაგი კაფსიდით

6. დეკემბრის თვეში დაწყებითი სკოლის მასწავლებელებს დაეწყო A-ტიპის გრიპის ვირუსით გამოწვეული სიმტომები: ყელის ტკივილი, სურდო, ხველა, სიცხე, თავის ტკივილი, მიალგია და სისუტე. მასწავლებლებს რომელბის არ იყვნენ ვაქცინირებულები საპროფილაქტიკოდ დაენიშნათ რემანტადინი. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ამ პრეპარატის მოქმედებას?

1. ბლოკავს M2-ცილას
2. ბლოკავს F-ცილას
3. ბლოკავს N ნეირამინიდაზას
4. ბლოკავს H ჰემაგლუტინინს

7. 5 წლის ბიჭს ერთი კვირაა აღენიშნებოდა მომატებული ტემპერატურა, თავის ტკივილი, სისუსტე, გადიდებული ყურისქვეშა და სანერწყვე ჯირკვლები. გადაუდებელი დახმარების ცენტრში მიყვანისას აღენიშნებოდა მენინგიალური მოვლენები. სავარაუდოდ დაისვა ეპიდემიური პაროტიტის (ყბაყრუას) დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან რომელ ოჯახში შედის სავარაუდო ვირუსი.

1. ორთომიქსოვირუსების
2. პარამიქსიოვირუსების
3. პარვოვირუსების
4. პიკორნავირუსების

8. 23 წლის ქალბატონს სწრაფად განუვითარდა შემდეგი სიმპტომები: სიცხე,სიყვითლე, აბდომინალური დისკომფორტი და მადის დაკარგვა. სისხლის სეროლოგიამ გამოავლინა ანტისხეულები HBcAg –ის მიმართ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ვირუსულ ინფექციაზეა საუბარი?

1. HAV
2. HBV
3. HCV
4. HEV

9. 42 წლის კაცს, რომელიც ჰეროინის მომხმარებელია აქვს სიყვითლე, მუქი შარდი, წონაში კლება და სისუსტე. დაავადება პროგრესირებს ძალიან სწრაფად ელვისებური ჰეპატიტით და ციროზით. რომელი ვირუსი იწვევს ასეთ კლინიკას?

1. Caliciviridae
2. Deltavirus
3. Flaviviridae

4. Picornaviridae

10. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვირუსის გადაცემა ხდება ფეკალურ ორალური გზით?

1.HAV
2.HBV
3.HCV
4.HDV